ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3458713

ნომერი: AR1529024

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 09.08.2017

გაცნობის თარიღი : 09.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ი.იუმაშევის ქუჩის მარჯვენა , მხარეს რკინიგზის ხიდის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ ნიკოლეიშვილი პ/ნ 01006012706
- ქ.თბილისი, ს.ცინცაძის 32, ბინა 20

ორგანიზაცია:
- იბეროილი კოდი: 406079586

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,იბეროილი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406079589
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ ნიკოლეიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006012706

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5848.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 722.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 2269.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2269.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, ი იუმაშევის ქუჩის მარჯვენა მხარეს რკინიგზის ხიდის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.26.004.127), შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 09 აგვისტოდან 2017 წლის 09 ოქტომბრის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:
4.1. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;
4.3. სავალდებულო საექსპერტო შეფასებ(ები)ა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
4.4. მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-
კენკროვანი მცენარეებისა) ჭრის/გადარგვის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4.5. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.